პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР.

გამოცემის 47-ე წელი № 233 (13617) | ოთხშაბათი, 12 ოქტომბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.


## ღირსეული შეხვედრა დიად თარიღებს

### შევამოწმოთ როგორ ვასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს!

# ავამაღლოთ სოციალისტური ადგილობრივი საბჭოების როლი

უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად გაუმჯობესდა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა. ახლა საბჭოები სულ უფრო აქტიურად ახდენენ გავლენას ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, ადამიანის ყოფასა და ცხოვრებაზე. სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება და სრულყოფა ხელს უწყობს მათი როლის ამაღლებას კომუნისტურ მშენებლობაში.

მიმდინარე ხუთწლედში უნდა გადაიჭრას დიდი და რთული ეკონომიური სოციალურ-პოლიტიკური ამოცანები, რომლებიც პარტიის XXIII ყრილობამ დასახა. მრეწველობაში ხორციელდება სამეურნეო რეფორმა, რომელიც წამოყენებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის სხვადასხვა პლენუმის გადაწყვეტილებით, ინერგება შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, ელიერდება ბრძოლა წარმოების რენტაბელობისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. სოფლის მშრომელები მთავარ ყურადღებას აქცევენ ეკონომიური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ბრძოლებს, რომლებიც წამოაყენეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წლის) და მაისის პლენუმებმა.

ლენინ მთელ ჩვენს დიად ქვეყანაში სულ ფართოდ ჩაედება სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და ქარხნების კოლექტივები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს იმისათვის, რათა ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ ამ დიდ თარიღებს. ახლა მთავარია ხაბჭო, თვითეული დეპუტატი იყოს ამ შეჯიბრების ინიციატორი, დარაზმონ მოსახლეობის ფართო მასები ნაკისრი ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის.

ბევრი ადგილობრივი ორგანო ახლა უფრო სრულად იყენებს თავის უფლებებს სამეურნეო მშენებლობაში, მეტ ინიციატივას იჩენს სამეურნეო საქმიანობაში. ისინი ახორციელებენ კონტროლს შრომითი და ბუნებრივი რესურსების სწორად გამოყენებისადმი. იჩენენ სახელმწიფოებრივ მომთხოვნელობას ხარჯთმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი.

გულრიფშის რაიონში არის სოფელი დარანდა. აქ აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციები მოუვლელი იყო, აგროვადებში არ სრულდებოდა ხამუშაოები. დაბალი იყო მოსავლიანობა. ამით დაინტერესდა რაიხაბჭოს აღმასკომის ხოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია, რომელსაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ე. ჩიქვანაია ხელმძღვანელობდა. კომისიამ შეიხსნა მდგომარეობა, ყველაფერს ხათანადო ანალიზი გაუკეთა და საკითხი რაიხაბჭოს აღმასკომზე გიიტანა. დაიხახა კონკრეტული ღონისძიებანი. მდგომარეობა მალე გამოსწორდა. მიმდინარე წელს ჩაის პლანტაციები აგროტექნიკურ ვადებში დამუშავდა. შედეგიც ხასურველი მიიღეს. კოლმეურნეობამ გადაჯარებითი შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა და ხახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცა ათეულობით ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მიმდინარე წელს ამ კომისიამ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის მთელი რიგი საკითხები შეისწავლა. ზოგი აღმასკომის სხდომაზე გიიტანა, ზოგი — რაიხაბჭოს სესიაზე.

დიდი და მრავალფეროვანია ადგილობრივი ხაბჭოების მუშაობა. ახლა ისინი აქტიურად მონაწილეობენ მრეწველობაში. და ხოფლის მეურნეობაში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის. წარმატებით იბრძვიან სოფლის მოსახლეობის კულტურულ-ხაყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ხაბჭოების როლის ასეთი ამაღლება იმით არის გამოწვეული, რომ უკანასკნელ წლებში ძალა წარმატებათა მოპოვებისათვის. წარმატებით იბრძვიან სოფლის მოსახლეობის კულტურულ-ხაყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ხაბჭოების როლის ასეთი ამაღლება იმით არის გამოწვეული, რომ უკანასკნელ წლებში ბევრი ადგილობრივი ორგანო ეხმარებიან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ხრულად განახორციელონ თავიანთი გავლენა სამეურნეო და კულტურულ-ხაყოფაცხოვრებო ამოცანების გადაწყვეტაზე, სწავლობენ და განაზოგადებენ ხაბჭოების მუშაობის გამოცდილებას, ცდილობენ მიადწიონ იმას, რომ ხალხის ნდობით აღჭურვილი კომუნისტები გვიჩვენებდნენ დეპუტატის მოვალეობათა კეთილსინდისიერად შესრულების, ამომრჩეველთა განაწესებსადმი ხახელმწიფოებრივი დამოკიდებულების ნიმუშს.

ამის ხაუკეთესო მაგალითი გვიჩვენეს რესპუბლიკის პროკურატურის კომუნისტებმა. მათ თავიანთ კრებაზე მოიხმინეს კომუნისტის, რაიხაბჭოს დეპუტატის თ. ქვარაცხელიას მუშაობის ანგარიში. აქ ყურადღება გაამახვილეს იმაზე, თუ რას აკეთებს რაიხაბჭო. რა ამოცანებს წყვეტს იგი, როგორ მონაწილეობას იღებენ მის მუშაობაში დეპუტატები და პირადად თ. ქვარაცხელია. პარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომმა მოიწონა რესპუბლიკის პროკურატურის კომუნისტთა ინიციატივა და ურჩია პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებსაც ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები რაიხაბჭოში, ასეთივე კრებები მოაწყონ ახლო მომავალში. ცხადია, ეს ხელს შეუწყობს დეპუტატების აქტივობას, ამაღლდება რაიხაბჭოს ბრძოლისუნარიანობა მოსახლეობის კულტურულ-ხაყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

მაგრამ არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ, რომ მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ ხუსტია ადგილობრივი ხაბჭოების გავლენა ცხოვრებაზე. ამის მიზეზი ის არის, რომ ისინი მთლიანად ვერ იყენებენ თავიანთ უფლებამოსილებას, ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი ხაბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის შეუფახებლობა. დღემდე ჯერ კიდევ ყველა სამეურნეო ხელმძღვანელმა ვერ იხწავლა ის, რომ საკალაკო, რაიონული და ხასოფლო ხაბჭო მიიჩნდეს ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოდ.

ამის შესახებ რედაქციაში მრავალი წერილი მოდის. ავტორები საუკეთესოს გამოთქვამენ, რომ ჯერ კიდევ არიან მთელი რიგი ორგანიზაციები, რომლებიც შეუწყნარებლად აჭიანურებენ ან სულაც უყურადღებოდ ტოვებენ აღმასკომისა და დეპუტატის ხაქმიან წინადადებებსა და რჩევას, თავს არ იწუხებენ ხალხის საკეთილდღეოდ გათვალისწინებული წინადადებების განხორციელებისათვის. დრო ყველამ შეიგნოს, რომ აღმასკომისა და დეპუტატის საქმიანი წინადადებები, რომლებიც ხალხის კულტურულ-ხაყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების შემდგომ გაუმჯობესებას შეეხება, არ შეიძლება უყურადღებოდ იქნას დატოვებული.

ხაბჭოებს მუდმივი პარტიული მხარდაჭერა ეხაჭიროებათ. პარტიული კომიტეტები უნდა დაეხმარონ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ხრულად განახორციელონ თავიანთი გავლენა სამეურნეო და კულტურულ-ხაყოფაცხოვრებო ამოცანების გადაწყვეტაზე, ხაქმით იხელმძღვანელონ ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ უნდა ავამაღლოთ ხაბჭოების, როგორც ხახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილი, გადამწყვეტი ორგანოების როლი.

პარტიის XXIII ყრილობამ დასახა ხაბჭოების როლისა და ავტორიტეტის ამაღლების, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაზე მათი გავლენის გაძლიერების გზები. უნდა ავამაღლოთ ხაბჭოების ხესიების მნიშვნელობა, მათ განსახილველად უნდა გამოგვქონდეს ეკონომიური, სოციალურ-კულტურული და ხახელმწიფო მნიშვნელობის ხაკითხების უფრო ფართო წრე. უნდა გავაძლიროთ მუდმივი კომისიების, ყველა დეპუტატის აქტივობა.

ადგილობრივი ხაბჭოების მოვალეობაა ბეჯითად ხრულყონ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის ხტილი და მეთოდები. მთელი ხისრულით გამოიყენონ თავიანთი უფლებები და შეხაძლებლობანი. მათ დიდი ნვლილი უნდა შეიტანონ ახალი ხუთწლედის პირველი წლის დავალების წარმატებით განაღდების ხაქმეში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გეგმების შეხრულებაში.

# თელაველ მევენახეთა გამარჯვება

### გეგმის გადამეტებით იქნება 5.000 ტონა ყურძენი

თელავის რაიონის მევენახეებმა ახალი ხუთწლედის პირველი წლის სიუხვისათვის ბრძოლა დიადი თარიღების — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების დროშით გაიჩიღეს. მათ უჩვეულო გავლა, სიტყვა გადაეღოთ წინ. მაგრამ საქმის სიკეთეს, სიმამაცეს ყველაფერს გაუძღო. თავლუწქდელი ზვრებში ყურძნის უხვი მოსავალი მოვიდა.

თელაველ მევენახეთა გამარჯვების შესახებ პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ვარდოშვილმა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— ხუთწლედის პირველი წლის გეგმით უნდა დაგეგმაოდებინა 21.950 ტონა ყურძენი. ამ დავალების შესასრულებლად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა, თვითეულმა მევენახემ ნაყოფიერად იმრომეს, შრომა დაუფასდათ. 11 ოქტომბრისათვის მოიკრიფა და ახალხმწიფოს ჩაბარდა 22.250 ტონა ყურძენი. ამ საქმეში ბევრი დაწინაურდა. სანიორის კოლმეურნეობა „პირველ მაისს“ (თავმჯდომარე ალ. მარგალიტაშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი შ. ათვაზოვი) სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდა 730 ტონა ყურძენი. მოკრიფა და ჩაბარა 1.400 ტონა. ალაზანი კოლმეურნეობა „მოწინავემ“ (თავმჯდომარე ა. ქვეხიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი დ. ბოჩიაშვილი) გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდა 400 ტონა ყურძენი; ჯულაანის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ქოჩაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ი. ქოზაევი)—195 ტონა. ყურძნის ჩაბარების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს ალვანეთ ვანთის, ქვემო ხოდაშნის, ბუშეტის და სხვა კოლმეურნეობებმა.

ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს საბჭოთა მეურნეობებმა. წაფარავნის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ა. ასათიანი, პარტორგანიზაციის მდივანი ჯ. გიორგაძეშვილი) სახელმწიფოს 2.600 ტონაზე მეტი ყურძენი ჩაბარა, ვასისუბნის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ჭ. კირკალიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ჯ. ჯიჯეიშვილი) — 1.700 ტონა და სხვ.

ყურძნის ჩაბარების გეგმის შესრულებაში სათანადო წვლილი შეიტანეს კოლმეურნეებმა და მუშა-მოსამსახურეებმა. მათ საკარმიდამო ნაკვეთებზე მიღებული ყურძნის 70-80 პროცენტი სახელმწიფოს მიჰყიდეს. სულ 5.300 ტონაზე მეტი ყურძენი ჩაბარეს. რუისპირის კოლმეურნეობის წევრმა ლ. ბახოლიანმა სახელმწიფოს 7 ტონა ყურძენი მიჰყიდა, სიფასურად 3.500 მანეთი მიიღო. დიდძალი ჩაბარეს ყურძენი ჩაბარეს ნ. ქვეხიშვილმა, ბუშეტელმა ვ. ლილუაშვილმა და სხვებმა.

კარგად, შეუფერხებლად მუშაობენ ღვინის ქარხნები. წინანდლის ღვინის ქარხანამ (დირექტორი ა. უთიაშვილი) უკვე 5.000 ტონა ყურძენი გადაამუშავა, ყაურის ღვინის ქარხანამ (დირექტორი ა. ბარხუდარაშვილი) — 3.500 ტონა, თელიანის ღვინის ქარხანამ (დირექტორი მ. ქუმსიშვილი) — 2.800 ტონა და სხვ.

სულ მალე ყველა ქარხანა დიდი გადაჭარბებით შეასრულებს ყურძნის გადამუშავების გეგმას.

თელავის რაონის ზვრებში დიდი რთველი გრძელდება. ათი ათასზე მეტი ადამიანი და ტალი წარმატებით შრომობს.

**5.000 ტონა ყურძენი გეგმის გადაჭარბებით!** ასეთია თელაველ მევენახეთა ვალდებულება. ისინი სიტყვას არ გატეხენ და სასახელოდ შეასრულებენ დადებულ პირობას.

## საგარეჯოელებმა ვალდებულება შეასრულეს

საგარეჯოს რაიონის მევენახეებმა შესანიშნავი წარმატება მოიპოვეს. ჯერ კიდევ 5 ოქტომბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა. მაშინ საგარეჯოელებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით დაემზადებინათ 2.500 ტონა ყურძენი.

ბარამიანმა შემოდგომამ კალთა დიბერტყა. სახელოვანმა მევენახეებმა ხაბისრი ვალდებულება 10 ოქტომბრისათვის დაასაღდეს, კვლავ გადახედეს თავიანთ შესაძლებლობებს და გადაწყვიტეს საშუალოს დამატებით მისცეს 1.000 ტონა ყურძენი, — აღგობრწენენ რედაქციას პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი ო. სებაშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. დავითაშვილი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ა. ახალაშვილი.

თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის კოლექტივმა, რომელიც წარმატებით ართმევს თავს მის წინაშე დასახულ ამოცანებს, ცხრა თვეში სახელმწიფოს 48.500 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია ჩაბარა. საწარმოო დავალებათა შესრულებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ მოწინავე ელექტროშემდუღებლებს (მარცხნიდან): ა. ორლოვსკის, ზ. ხუციშვილს და გ. ვართანიანს. ისინი დღიურ დავალებას 20-25 პროცენტით აჭარბებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# მეგობრობის ვითარებაში

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. გომულკა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ი. ცირანკევიჩი, რომლებიც მეთაურობენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის და მთავრობის დელეგაციას, 10 ოქტომბერს კრემლში ეწვივნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ა. ნ. კოსიგინს.

იმავე დღეს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მიმდინარეობდა ძმური მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში, მოხდა აზრთა ფართო გაზიარება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოების საკითხებზე.

კრემლის დიდ სასახლეში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას გაუმართეს სადილი.

11 ოქტომბერს კრემლში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი და სხვა ოფიციალური პირნი; პოლონეთის მხრივ: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. რაპაცკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. რაპაცკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სავოევოდო კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი და სხვები.

გრძელდებოდა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების საკითხებზე. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა საბჭოთა მხარეს გააცნეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის საქმიანობა და სოციალიზმის მშენებლობა სახალხო პოლონეთში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა პოლონელ ამხანაგებს გააცნეს კომუნისტური მშენებლობა სსრ კავშირში და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობა.

მოლაპარაკება ძმური მეგობრობის, გულითადობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა. (საკდესი).

# იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

11 ოქტომბერს კრემლის თეატრში გაიხსნა იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი-სემინარი, რომელიც მოწვეულია სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნები, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პროპაგანდისტთა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მეცნიერებისა და კულტურის განყოფილებათა გამგეები. პარტიის მთელი რიგი საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, საბჭოთა არმიისა და ფლოტის პოლიტმუშაკები. ცენტრალურ იდეოლოგიურ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა მუშაკები.

თათბირი-სემინარი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პ. ნ. დემიჩევმა. მოხსენება „აქტიურად ჩამოვაყალიბოთ საბჭოთა ადამიანების მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა და კომუნისტური მორალი“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ვ. ი. სტეპაკოვმა.

თათბირი-სემინარი განიხილავს იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. თათბირის მონაწილენი მოისმენენ ლექციებსა და მოხსენებებს ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების, კულტურული მშენებლობისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის აქტუალურ პრობლემებზე.

11 ოქტომბერს თათბირ-სემინარზე სიტყვები წარმოთქვეს უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. დ. სკაბამ, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. პ. შაბოშნიკოვამ, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. ნ. იმაშევმა, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანმა გ. ა. ბოგდანოვმა.

## კავშირგაბმულობის მუშაკთა თათბირი

**კიევი**, 10 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ დაიწყო რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, მოლდავეთის, ლიტვისა და ესტონეთის ფოსტის მუშაკთა თათბირი გამოცდილების გაზიარების მიზნით.

თათბირის მონაწილენი განიხილავენ კავშირგაბმულობის საშუალებებით მოსახლეობისა და საწარმოების მოსახურების გაუმჯობესების პრობლემებს.

## ხაზზეა 240 ქალაქი

**ერევანი**, 11 ოქტომბერი. (საკდესის კორ.). დღეს ერევანში საქმაოდ ტაციოდ გადაეცა ახალი საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური, რომელიც ერთდროულად მოემსახურება ჩვენი ქვეყნის 240 ქალაქს.

ვარდისფერი ტუფისა და რკინაბეტონის კონსტრუქციის მონუმენტური შენობა აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობით. კომუტატორის ხაზების რიცხვი აყვანილია ოთხასამდე. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე სომხეთის დედაქალაქს დღემდე ჰქონდა.

**დამთავრდა** საფრანგეთის მეცნიერული კვლევის მინისტრის ა. პეირეფიტის ოფიციალური ვიზიტი სსრ კავშირში.

# თანამშრომლობა ვითარდება

ა. პეირეფიტი მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და მეგობრულად ესაუბრა მას სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის საკითხებზე. ფრანგი სტუმარი შეხვდა და ესაუბრა აგრეთვე სხვა სახელმწიფო მოღვაწეებს, ეწვია მთელ რიგ დაწესებულებებსა და სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებს.

ა. პეირეფიტის ვიზიტის მთავარი მიზანი იყო კომპეტენტურ საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად განეხილა კონკრეტული ღონისძიებანი, რათა სავსებით იყოს უზრუნველყოფილი სსრ კავშირისა და საფრანგეთის მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებათა რეალიზაცია, და, კერძოდ ამ შეთანხმებათა რეალიზაცია, რომლებსაც ხელი მოაწერეს მიმდინარე წლის 30 ივნისს, როცა საბჭოთა კავშირში ვიზიტად იყო საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი დე გოლი.

მხარეებს მიაჩნიათ, აღნიშნულია ოფიციალურ კომუნიკეში, რომ მოლაპარაკება და საუბრები ზემოაღნიშნულ საკითხებზე ნაყოფიერი იყო და შექმნეს შესაძლებლობა მიგვეღო მთელი რიგი პოზიტიური გადაწყვეტილებანი, რომელთა შედეგად წარმატებით განვითარდება ორი ქვეყნის თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში.

ა. პეირეფიტის სსრ კავშირში ყოფნის დროს გაიმართა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ფერადი ტელევიზიის შერეული კომისიის IV სესია. კომისიამ შეაჯამა საერთო მუშაობის შედეგები და აღნიშნა, რომ სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობამ უზრუნველყო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივი სისტემის „სეკამ-III“-ის მნიშვნელოვანი წარმატება. დასახულია ღონისძიებანი, რომლებიც შექმნიან შესაძლებლობას, რომ ფერადი ტელევიზია დაინერგოს ორივე ქვეყნის პროგრამაში გათვალისწინებულ დროს (1967 წლის შემოდგომაზე) და უმაღლეს ტექნიკურ დონეზე.

1960 წლიდან დამყარებული კონტაქტების შედეგად და მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების დარგში თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის 1965 წლის 4 მაისის შეთანხმების ფარგლებში სსრ კავშირის ატომურ ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა და საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისარიატმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მაღალი ენერგიების ნაწილაკთა ფიზიკის დარგში ერთობლივი კვლევის შესახებ. კოსმოსური კვლევის დარგში თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის 1966 წლის 30 ივნისის შეთანხმების ფარგლებში გაიმართა ა. პეირეფიტისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მ. ვ. კელდიშის მოლაპარაკება. კერძოდ გადაწყდა, რომ განვითარდეს ამერამად მიმდინარე ექსპერიმენტები იმ მიზნით, რომ გავიცოდეს ის შესაძლებლობანი, რომლებსაც იძლევა საბჭოთა კავშირგაბმულობის თანამგზავრი „მოლნია“. შემუშავებულია კოსმოსური მეტეოროლოგიის დარგში ერთობლივი სამეშაოთა გეგმა.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ 1966 წლის 30 ივნისს შეთანხმებულ ფარგლებში სსრ კავშირის ატომურ ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა და საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისარიატმა ეაკადემიის ბიულეტენი „ატომური ენერგია“ ბეჭდავს ინფორმაციას ატომური ენერგიის გამოყენებისა და ატომური ენერგიის ფიზიკის, ქიმიის, ტექნოლოგიის, ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის, ბიოქიმიის, ბიოტექნოლოგიის, ბიოლოგიური ეკოლოგიის, ბიოლოგიური ეკოლოგიის, ბიოლოგიური ეკ

# ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ-ᲡᲐᲥᲐᲠᲩᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲖᲔ**

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲤᲘ

## ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ-ᲡᲐᲥᲐᲠᲩᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲖᲔ

ᲘᲛ საღამოს კოლმეურნეობის კანტორის წინ, ჯერ კიდევ პარტიული კრების გახსნამდე, ჩაკადუაშელ კომუნისტებს ცხარე სჯა-ბაასი ჰქონდათ.

ნათქმელი კი მართლაც ბევრი აქვთ. კოლმეურნეობა ყოველწლიურად წარმატებით იღებს ახალ მიჯნებს, ყველა დარგი მაღალ შემოსავალს იძლევა. განსაკუთრებით ხარობენ მეჩაიეები და მეცხოველეები.

ხუთი-ექვსი წლის წინათ ეს არტელი ჩამორჩენილთა რიგებში იხსენიებოდა. თუ მაშინ აქ ჩაის წარმოება 450-500 ტონამდე ძლივს აღწევდა, ახლა იმავე ფართობიდან 950-1000 ტონა „მწვანე ოქროს“ აწარმოებენ. წელს გეგმით გათვალისწინებული 860 ტონის ნაცვლად დამზადებულ იქნა 1000 ტონაზე მეტი ფოთოლი, ხოლო რძის წარმოება უკანასკნელი წლების მანძილზე ერთისამად გაიზარდა.

აგრეთვე მთავარი ის არის, რომ პროდუქტების წარმოებაში დანახარჯები მკვეთრად შეამცირეს. ამ მხრივ კოლმეურნეობაში მნიშვნელოვანი ნახიჯებია დადგმული. 1960 წელთან შედარებით დანახარჯები ერთი ცენტნერი ჩაის წარმოებაზე ჩამცირდა 18 მანეთით და 4 კაპიკით, სირინდის წარმოებაზე — 8 მანეთით და 17 კაპიკით.

ადრე ჩაკადუაშელებს ათეულ და ასეულ ტონობით თივა და სხვა საკვები შემოაქონდათ რეს-პუბლიკის შორეული რაიონებიდან, რაც აძვირებდა ხორცისა და რძის თვითღირებულებას. ახლა კოლმეურნეობაში ყოველწლიურად მზადდება 800-900 ტონა სილოსი, 80-90 ტონა თივა, რაც უზრუნველყოფს პირუტყვს საკუთარი წარმოების საკვებით.

კომუნისტთა, კოლმეურნეთა დაძაბულმა შრომამ ხასურველი ნაყოფი გამოიღო. ადგილობრივი წარმოების ათეფი და მტკიცე საკვები ბაზის შექმნამ კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ხორცისა და რძის თვითღირებულებაზე. შარშან ერთი ცენტნერი რძის წარმოებაზე დანახარჯები შემცირდა 36 მანეთით და 44 კაპიკით. თუმცა გასაკეთებელი ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია.

ეი კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება დანიშნულ დროზე დაიწყო.

— წარმატებანი, რომლებიც მოვიპოვეთ სოფლის მეურნეობის ცალკეულ უბნებზე, — განაცხადა პარტიიურის მდივანმა შ. სალიამ, — პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული შუშაობის მაღალმა დონემ განაპირობა. კომუნისტები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ყველა გადამწყვეტ უბნებზე მუშაობენ. 11 საწარმოო ბრიგადიდან ცხრა ბრიგადის ხელმძღვანელი კომუნისტია.

დიდია კომუნისტების პირადი მაგალითის ძალა. კომუნისტმა კ. ბერულავამ 8 თვეში ასოცზე მეტი კაცდღე გამოიმუშავა და 600 მანეთამდე ანაზღაურება მიიღო. კომუნისტების ნ. ყალიჩავას, ლ. ჭინჭოლავას, მ. გაბისონიას, ვ. ბერულავას, გ. ჭითანავას და სხვათა შრომითმა საზღაურმა 1800-2000 მანეთს გადააჭარბა.

კომუნისტთა აქტივობის გასაძლიერებლად პარტიული ბიურო იყენებს ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს, წამახალისებელ ღონისძიებებს.

თითქმის ყველა კომუნისტს აქვს მუდმივი და ერთდროული დავალება. კომუნისტები აქტიურად მონაწილეობენ პარტბიუროს სხდომებისა და კრებებისათვის საკითხების მომზადებაში. კოლმეურნეთა შორის საგიტაციო-მასობრივ შუშაობას ეწევა 22 აგიტატორი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ჭედენიძემ ილაპარაკა იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც ჩაკადუაშელების წინაშე დასახულია ახალ ხუთწლედში. ყველა კოლმეურნე ჩაება დიდ სახალხო ლაშქრობაში, რომ ახალ-ახალი წარმატებებით შეხვდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავსა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

მაგრამ აქ წარმატებებით როდი ტკბებიან. კომუნისტებმა არსებული ნაკლოვანებანი დაუფარავად ამხილეს.

მოკამათენი ნ. ანთია, ე. გუჯეჯიანი, ხ. ქარდავა, ლ. ჭინჭოლავა და სხვები აღნიშნავდნენ, რომ ჯერ კიდევ არასაკმაო ზრუნვა სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. კომუნისტები გულისტკივილით შენიშნავდნენ, რომ წლების განმავლობაში ჭიანურდება საკოლმეურნეო ბანოს მშენებლობა, რომლის საეკსპლოატაციოდ გადაცემას ყოველწლიურად გვპირდებიან, მაგრამ ამ დაპირებას ბოლო არ უჩანს.

სასოფლო კლუბი და სამკითხველო ცუდად ემსახურებიან მოსახლეობას. ჩაის კრეფის სეზონში სოფლის კულტურის ეს ცენტრები მეტწილად გამოკეტილი იყო, ხოლო მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი აქ მხოლოდ ფორმალურად არის შექმნილი.

კრების მონაწილეებმა გულდასმით იმსჯელეს ნაკლოვანებებზე, ისაუბრეს მომავლის ამოცანებზე.

კრების მონაწილეთა საქმიანმა წინადადებებმა ჭეროვანი ასახვა ჰპოვა კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში. აირჩიეს პარტბიუროს ახალი შემადგენლობა, დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი შუშაობის გაუმჯობესებისათვის.

მეორე დილით ჩაკადუაშელმა კომუნისტებმა ახალი ენერგიით დაიწყეს ბრძოლა მომავალი წლის უხვი მოსავლის საფუძვლის შექმნისათვის, ხუთწლედის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის.

**Ა. ᲭᲐᲜᲗᲣᲠᲘᲐ.**

ზუგდიდის რაიონულ გაზეთ „მებრძოლის“ რედაქტორის მოადგილე.

# ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

**ᲡᲙᲙᲙ** ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 მაისის დადგენილებამ საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ დიდი მოწონება და შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

ცნობილია ის უდიდესი მნიშვნელობა, რასაც შრომის შედეგების მიხედვით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის მოთხოვნათა განსახორციელებლად აქამდე მოქმედი ღონისძიებები ასრულებდნენ. მაგრამ ახალი დადგენილების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია. მან კოლმეურნეთა შრომის ძირითადი ანაზღაურების მოწესრიგებით შექმნა თანაბარი ეკონომიური პირობები იმ კოლმეურნეთა შემოსავლის მიაწოებისათვის, რომლებიც სხვადასხვა ზონაში და თვით ზონათა შიგნით განვითარების არათანაბარ ბუნებრივ-ეკონომიურ პირობებში იმყოფებიან.

რაში მდგომარეობს ამ სიახლის ძალა? თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის გატარებაში მთელი საკოლმეურნეო სისტემის მასშტაბით, რაშიც დიდ შეუსაბამობებს ჰკრნა ადგილი. მაგალითად, 1965 წლის რეპუბლიკური ჯუმლის მონაცემებით საქართველოს სსრ საკოლმეურნეო სექტორში 1 კაცდღის საშუალო ანაზღაურება 2 მანეთს და 38 კაპიკს შეადგენდა, მაშინ როდესაც იგი თელავის რაიონში 4 მანეთი და 35 კაპიკი, თერჯოლის რაიონში — 1 მანეთი, ჯავის რაიონში — 95 კაპიკს შეადგენდა და ა. შ.

ეს მონაცემები კიდევ უფრო მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან რაიონის შიგნით კოლმეურნეობათა მიხედვით. მაგალითად, თელავის რაიონის სოფელ გულგულაში საშუალოდ 1 კაცდღეზე გაიცა 2 მანეთი და 85 კაპიკი, სოფელ სანირორში — 8 მანეთი და 28 კაპიკი. თიანეთის რაიონის სოფელ ტუშურებში — 45 კაპიკი, სოფელ თოლეჯში — 2 მანეთი და 03 კაპიკი.

თუ დავუშვებთ, რომ 1 კაცდღე, როგორც შრომის საზომი (დღიური ნორმიდან გამომდინარე), მიახლოებით ერთნაირია, მაშინ თანაბარი შრომის პირობებში შრომის ანაზღაურებაში ასეთი მკვეთრი განსხვავება პრინციპულად ეწინააღმდეგება შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიური კანონის მოთხოვნებს, რაც ზონათა და ზონების შიგნით კოლმეურნეობათა შორის არსებული ბუნებრივ-ეკონომიური პირობების განსხვავებიდან გამომდინარეობდა.

მაგრამ საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ეს განსხვავებები, მიახლოებით ერთნაირი შრომითი საზომის სოფელ სანიორის კოლმეურნისათვის 8 მანეთის და 28 კაპიკის, ხოლო სოფელ ტუშურების კოლმეურნისათვის 45 კაპიკის რაოდენობით ანაზღაურება ცხადია, კანონიერებას მოკლებულია.

სწორედ ასეთი ანაზღაურების ლიკვიდაციას მოასწავებს პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილება, რომელიც საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების და მათი შრომის ძირითადი ანაზღაურების მიახლოებით მშრომელთა კეთილდღეობის დონის შემდგომი ამაღლების სამსახურშია დაყენებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 მაისის დადგენილებას ანაზღაურებისა და ფასების ერთიანობა, ანუ ერთნაირი ანაზღაურება ერთ-ერთ ძირითადი ფუძედ აქვს დაფუძნებული. ეს ფუძე ეფუძნება ეკონომიკურ ანალიზს, ეფუძნება ეკონომიკურ ანალიზს, ეფუძნება ეკონომიკურ ანალიზს,

# საერთაშორისო ცხოვრება

## გენერალურ ასამბლეაზე



**ნიუ-იორკი,** 10 ოქტომბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი **ნ. ტურკატენკო** გვატყობინებენ:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXI სესიის დღევანდელ დილის სხდომაზე გრძელდებოდა ზოგადპოლიტიკური დისკუსია. გამოსულთა სიაში იყვნენ ირლანდიის, პოლონეთის სახალხო რეპუბლიკის, ნიგერიის, ტუნისის, შვეიცარიის წარმომადგენლები.

სულ ზოგადპოლიტიკურ დისკუსიაში ოღევანდელი დღის ჩათვლით მონაწილეობდნენ 71 ქვეყნის წარმომადგენლები.

ზოგადპოლიტიკური დისკუსია მიმდინარეობს ვიეტნამის ომის დაგმობის ნიშნით. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები ცდილობდნენ და კვლავაც ცდილობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჩაითრიონ „ვიეტნამის საკითხის“ განხილვაში, რათა მას დააკისრონ პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის შედეგებისათვის. სოციალისტური და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა უარყვეს ეს ცდები და აღნიშნეს, რომ არავითარი „საკითხი“ არ არსებობს: ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ შეიარაღებულ აგრესიას ვიეტნამში, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციების უხეში დარღვევაა და დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ ეს აგრესია.

პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ იუზეფ ვინიევიჩმა მოითხოვა, რომ ამერიკამ შეწყვიტოს აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და კერძოდ თქვა: ცდილობენ ისე წარმოადგინონ საქმე, თითქოს ვიეტნამელი ხალხი, რომელიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, იყოს კონფლიქტის მეზობელი, აგრესია, რომელსაც დიდი საჭელმწიფო სჩადის, იყოს აგრესიისაგან დაცვა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის დარღვევა — მოლაპარაკების დაწყების ღონისძიება. ხოლო საერთაშორისო შეთანხმებათა დარღვევა — მაო შეურიელება, სამხედრო ხუნტა, რომელიც ძალით მოახვიეს თავს სამხრეთვიეტნამელ ხალხს, იყოს თვითგამოოკვეთის პრინციპის დაცვა, ხოლო ყალბი არჩევნების მოწყობა — დემოკრატიის ნიმუში.

გენერალური ასამბლეის დელეგატები ახლა განიხილავენ აფრიკისა და აზიის ქვეყნების რეზოლუციის პროექტს, რომლის ავტორები მოითხოვენ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ჩამორთვან სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის მართვის მანდატი, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა დაუქვემდებარონ გაეროს ადმინისტრაციას, 1965 წლის 30 სექტემბრის ამბებთან დაკავშირებით სუბანდრიოს წუყუენეს ბრალდება, რომ მონაწილეობდა „შეთქმულებაში, რომლის მიზანი იყო კანონიერი მთავრობის დამხობა“ და „დანაშაულებრივ ძირგამომთხრელ მოქმედებაში“. უკვე გაიმართა სპეციალური სამხედრო ტრიბუნალის რამდენიმე სხდომა, რომელთა დროს სუბანდრიომ თავი დამნაშავედ არ ცნო.

შეეხო რა 30 სექტემბრის ამბების ფარულ შინაარსს, სუბანდრიომ პროცესზე განაცხადა, რომ მან, როგორც ინდონეზიის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელმა იცოდა, რომ მზადდება გადატრიალება, მაგრამ ეს არ აცობა პრეზიდენტს სუკარნოს, რადგან ეგონა, რომ პრეზიდენტმა უკვე იცის ეს ამბავი.

ამერიკელი ჯაბრისაკი: — ჯო, რათ გვინდა მართული რაკეტა? საითაც უნდა გავისროლოთ, ყველგან მოწინააღმდეგეა...

იშტვან პეშტის კარიკატურა „უნგრულ იუმორისტულ ჟურნალ „ლუდაშ მატი

# ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

## ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲜᲣᲠᲔᲥᲘᲫᲔᲡᲐᲜ

**ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ.** (საკ. კორ.) ამ დღეებში ზუგდიდში ჩამოვიდა ტაჯიკეთის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის — ნურეკჰესის მშენებლობის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. გორბაჩოვი.

ტაჯიკმა მეგობრებმა დაათვალიერეს ზუგდიდის ღირსშესანიშნავი ადგილები, ეწვივნენ წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭვარს, სადაც ნახეს დიდი თაღოვანი კაშხალის მშენებლობის ადგილები, იყვნენ გალის რაიონის სოფელ საბერიოში, ოჩამჩირეში, რეჩხში, ერისწყალზე. ტაჯიკელმა მეგობრებმა შეამოწმეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულება. რამდენიმე დღის შემდეგ ისინი მშობლიურ ნურეკში გაემგზავრნენ.

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲫᲐ

**ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ.** (საკ. კორ.). ხილისა და ბოსტნეულის დამზადების დიგალების შესრულებისათვის წარმატებით იბრძვის „საქხილბოსტნის“ გეგეჭკორის სარაიონთაშორისო დამზადების კანტორის (დირექტორი რ. ჯანაშია) კოლექტივი. აქ დიდი გადაჭარბებით შესრულეს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმები. დამზადებულია 610 ტონა თესლოვანი ხილი ნაცვლად 540 ტონისა, კურკოვანი ხილი — 1002 ტონა ნაცვლად 980 ტონისა, გარეული ხილი, რომელიც საკონსერვო ქარხნებს გადაეგზავნა 130 ტონის ნაცვლად 180 ტონა; ბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 100.3 პროცენტით.

დამზადებული ხილის ნაწილი გადაეგზავნათ მოსკოვის, ლენინგრადის, კოლგოგრადისა და სხვა დიდი სამრეწველო ქალაქების მშრომელებს.

## ᲝᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ** რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მაყურებლებს უჩვენა მ. ელიოზიშვილის „ᲒᲔᲒᲔᲠᲘ ᲛᲔᲖᲣᲠᲜᲔᲒᲘ“.

სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, რეჟისორმა არჩილ ჩხარტიშვილმა, მხატვრულად გაფორმეს ო. ქოჩაკიძემ, ა. სლოვინსკიმ და ი. ჩიკვაიძემ.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ბ. ზაქარიაძე და თ. თარხნიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები რ. ჩხეიკვაძე, მ. გეგეჭკორი, ხ. ყანჩელი, ე. ვაჩნაძე და კ. საკანდელიძე.

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ** კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა დადგა ბ. კოროსტილიოვის ორმოქმედებიანი კომედია-ზღაპარი „ᲛᲔ ᲛᲬᲔᲠᲐ ᲨᲔᲜᲘ“. სპექტაკლის რეჟისორია მ. კუჭუხიძე, მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. შტენბერგი, სპექტაკლში მონაწილეობს მხოლოდ სამი მსახიობი: მ. ბიბილეიშვილი, მ. გორგილაძე და გ. სიხარულიძე.

## ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ **ᲑᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ** რაიონში გასტროლები გამართა ქ. ფოთის გ. გუნიას სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივმა. თეატრმა მაყურებლებს გასტროლების დღეებში უჩვენა თავისი ცხრა საუკეთესო დადგმა.

ქ. გურჯაანს გარდა ფოთელმა მსახიობებმა წარმოდგენები გამართეს ვაზისუბნის, ველისციხის, ჩუმლაყის, კაჭრეთის და სხვა სოფლების მშრომელებისა და მოსწავლეებისათვის.

ს. შაქარაშვილი.

◆ **ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ** სახალხო თეატრმა ამ დღეებში მორიგ პრემიერად დადგა არეშიძის პიესა „დამნაშავენი“. დადგმა განახორციელა რეჟისორმა ხ. კოპალიანმა.

თეატრის კოლექტივი ამჟამად მუშაობს კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებაზე“, რომელსაც მაყურებელი მომავალ თვეში ნახავს.

ბ. ქარსელაძე.

◆ **ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ** სახალხო თეატრმა მორიგ დადგმად განახორციელა დ. კასრაძის ჰეროიკულ-დრამატული პოემა „ლეგენდა რუსთაველზე“.

დადგმის რეჟისორია თ. ინასარიძე, მხატვარია — ა. ოსიტაშვილი. როლებს ასრულებდნენ შ. ლომიძე, თ. ინასარიძე, გ. კიკნაძე, ირ. ბარბაქაძე და სხვები.

## ᲙᲘᲜᲝ ᲣᲪᲮᲝᲗᲨᲘ

### ᲟᲐᲜ ᲒᲐᲑᲔᲜᲘ — ᲛᲔᲒᲑᲐᲚᲘ

**ᲛᲮᲪᲝᲕᲐᲜᲘ** ფრანგი კინომსახიობის ჟან გაბენის კიდევ ერთ საინტერესო გმირს ნახავენ მაყურებლები ეკრანზე. ეს არის არეანტელელი მებაღე. ფილმსაც „არეანტელელი მებაღე“ ეწოდება. როგორც ფილმის რეჟისორი ამბობს, გაბენს მოუხდება თავისი ამჟამინდელი ამპლუას ერთ-ერთი მორიგი ვარიანტის შესრულება. ეს იქნება ერთგვარი სინთეზი პატრიარქისა და თაღლითისა.

ამ ფილმში გაბენის პარტნიორები იქნებიან კარდ იურგენსი და ლიზელოტა პულვერი.

### ᲤᲘᲚᲛᲘ ᲙᲘᲜᲝᲛᲬᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲖᲔ

საფრანგეთის სახელგანთქმულმა კინოოკუმენტალისტმა ფრანსუა რეიშენბახმა გადაწყვიტა გადაიღოს ციკლი ფილმებისა, რომლებიც მიეძღვნება კინოს გამოჩენილ ოსტატებს. მას უკვე გადაღებული აქვს კინოფირი ბრიჟიტ ბარდოზე, თავისებური ტრიბუტი ჟანა მორიოზე (ჟანა მორო პირად ცხოვრებაში, ჟანა მორო — „ვარსკვლავი“ და ჟანა მორო— მსახიობი), აგრეთვე ფილმი რრსონ უელსზე.

ეს ფილმი კინოპორტრეტების გარდა, კინოინტერვიუც არის.

ᲡᲐᲚᲐᲛᲝ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲖᲔ. ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲐ.

ფოტოტეტადი ბ. სოკოლოვისა.



ᲔᲗᲝᲕᲔᲡᲐᲜ მთაწმინდელი უკვე დიდიანია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება. მისი დამზადებული წამლებით არაერთი ავადმყოფი გამოჯანსაღებულა. იგი ყოველთვის თავაზიანი და გულისხმიერია კლიენტების მიმართ.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ მთავარი აპთიაქო სამმართველოს თბილისის № 2 ქსელის აპთიაქის მმართველს ქეთევან მთაწმინდელს (მარცხნივ) და ახსტენტ მერი იმნაიშვილს. ისინი ამზადებენ ახალ წამალს. ვინ იცის, ახლაც როგორი იმედით ელოდება მას ავადმყოფი. მათ მიერ დამზადებულ წამალს ხომ არაერთი ადამიანის სიცოცხლე უხსნია.

ფოტო გ. გოგოხიასი.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

# ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲠᲦᲕᲔᲕᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲠᲗᲘ

რᲝᲑᲝᲠ ამაყად ღელეს — საბჭოთა ადამიანი! ჩვენი ეპოქის უდიდესი პოეტი ალტაცებით ტყეულა როი ამბობდა: საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე!

საბჭოთა მოქალაქე — ეს სინდისის, პატიოსნების, სიმართლის, გაქაცობის, ამხანაგობისა და მეგობრობის უმწიკლო განსახიერებაა. გადახედეთ ისტორიის იმ მცირე მონაკვეთს, როცა საბჭოთა ადამიანი გახდა თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი, გადახედეთ, და წარმოგიდგენთ ის უმაგალითო საკმირო საქმეები, რომელთა შემოქმედიც ჩვენი მოქალაქეა. საბჭოთა პატრიოტიზმმა ჩაადენინა მას მანამდე არნახული გმირობები ქვეყნის მშენებლობის სხვადასხვა უბნებზე. ამ პატრიოტთა სახელები მილიონებია. ეს ადამიანები ყველა ოჯახში ცხოვრობენ, ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში მუშაობენ.

ქართული ხალხური ანდაზა ამბობს: ოჯახში ერთი მახინჯი გამოერეოო. და რა გასაკვირველია, რომ ჩვენთანაც აქა-იქ გამოერიოს ანტისაზოგადოებრივი ელემენტები, რომლებიც არად აგდებენ ადამიანის მორალს, ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, ლოთობენ, ჩხუბობენ, ხულიგნობენ, აბუჩად იგდებენ მშრომელ პატიოსან ადამიანებს. ამიტომ საქართველოს მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებას მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. ჩვენი რესპუბლიკის დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, აქტივის კრებებზე მშრომელებმა ფართოდ განიხილეს ის პროფილაქტიკური ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს ყოველგვარი ხულიგნური გადოვლინების წინააღმდეგ.

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხს მიეძღვნა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის კრება. დამნაშავეობისა და წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ამ საქმეში საზოგადოებრივი ორგანოების როლის ამაღლების საკითხზე ილაპარაკეს და ადგილზე არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საქმიანი წინადადებები წამოაყენეს მომხსენებელმა — კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. ჩუბინიძემ და სიტყვით გამოსულმა სხვა ამხანაგებმა.

ქართული მარგანეცის ქალაქი ამაყობს თავისი მკვიდრი ადამიანებით, რომლებიც სასაზელოდ შრომობენ. ათასობით ჭიათურელმა მშრომელმა მთავრობის მაღალი ჯილდოები დაიმსახურა. ამასთან ისინი თავდადებით იბრძვიან, რათა მათი ქალაქი სანიმუშო იყოს წესრიგის მხრივაც, მაგრამ ზოგიერთმა ზნეკაცმა მაინც მოახერხა ხულიგნობის ჩადენა.

პატიოსან შრომას ოთომბა-ხულიგნობა არ ჰგია თ. გ. ცუცქირიძემ. იგი პატიმრობიდან ერთი თვის გამოსული იყო. ხალხი ფიქრობდა, ახლა მაინც დაადგება წესიერ გზასო, მაგრამ ამაოდ. იგი დათვრა, დებმი ატეხა პერვომისის მაღაროს მუშათა სასადილოში, სცემა მოქალაქეს და მოახერხა, მიმალება. ხულიგანი ერთი თვის შემდეგ კვლავ გამოჩნდა ამავე სასადილოში. გაუსწორებელმა თ. ცუცქირიძემ სრულიად უმიზეზოდ სცემა მუშა საღირაგიელს და კვლავ მიიმალა. ხულიგანი ზოძებნეს. იგი გაასამართლა ჭიათურის სახალხო სასამართლომ და ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯა.

კალინინის სახელობის მაღაროში ადრეც იცოდნენ ნ. ტ. ტალახაძის ხულიგნური გამოდგომები. რა არ იღონეს მაღაროს ორგანიზაციებმა, რომ გამოესწორებინათ იგი, მაგრამ არაფერმა არ იმოქმედა. ხულიგნური საქციელისთვის იგი რამდენჯერმე გაკიცხეს, ერგებაზე შეარცხვინეს.

ნ. ტალახაძე ამას წინათ მთვრალი მოვიდა მარგანეცის გამამდიდრებელ № 29 ფაბრიკაში, ჩაამტვრია მინები, სიტყვიერად შეურაცხყო ერთ იქ მყოფნი. ფაბრიკის მეფუძენქტში გაგზავნა ტელეფონის აპარატი, მედიკამენტების კარადა. სამუშაო კაბინეტში ტელეფონის აპარატი და მინები დაუმტვრია აგრეთვე ფაბრიკის გამგეს, შეურაცხყო მოქალაქე სარალიძე და ვასაძე. გაუსწორებელ ხულიგანს ნ. ტალახაძეს პატიმრობა მიესაჯა. სათანადოდ დაისაჯნენ აგრეთვე ხულიგნები შ. კაკოელაძე, კ. ბუიშვილი, ტ. ბიწაძე.

ხულიგნებისადმი არაგითარი შემწყნარებლობა — ამას იწერებიან ჭიათურელი მაღაროელები.

ლესელიძის სატყეო მეურნეობის კლუბში შეიკრიბნენ ამ ზედისპირა სოფლის მცხოვრებლები, რომლებიც გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებას მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. ამის შესახებ რედაქციას ატყობინებს შ. ბერძენაშვილი.

კრების მონაწილეებმა და სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა მთლიანად დაუჭირეს მხარი პარტიისა და მთავრობის დროულ გადაწყვეტილებას და ამასთან ერთად აღნიშნეს, რომ მარტო ის კი არ კმარა მხარი დაუჭირო და მოიწონო ეს გონივრული გადაწყვეტილება, არამედ საჭიროა კონკრეტული ღონისძიებების გატარება. ჩვენ, — თქვა სიტყვით გამოსულმა ჩაჩიბაიამ, — პირადად უნდა ვიბრძოლოთ ნამარალების წინააღმდეგ.

ენგურჰესის მშენებლობის მრავალათასიანმა კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა მშენებელთა აქტივის კრება, რომელზეც მრავალი საყურადღებო აზრი გამოთქვეს. კაშალმშენის მუშებმა ყურადღებით მოისმინეს აგიტატორ ა. ქირიას საუბარი. გვირაბმშენის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებს ახალი კანონის შესახებ ეესაუბრა აგიტატორი ვ. ნოზაძე, რომელმაც განაზოგადა ცხოვრების სინამდვილიდან აღებული მაგალითები. უნიკალური ელექტროსადგურის მშენებლებმა ერთსულოვნად მოიწონეს ღირსშესანიშნავი ღონისძიება და გამოთქვეს სურვილი საერთო ძალით იბრძოლონ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა და ხულიგანთა წინააღმდეგ.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია რედაქციას მოაწოდა ა. ფირცხალავამ.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყაროს კოლმეურნეობის სახალხო რაზმის უფროსი ი. ანსარია რედაქციას სწერს: ხულიგანთა, დებოშიორთა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება სახალხო რაზმელებს საშუალებას გვაძლევს ჯეროვანი წესრიგი დავამყაროთ ჩვენს სოფელში. ამ დროულ გადაწყვეტილებას ყოველდღიურად ვახორციელებთ. ამ დღეებში კოლმეურნე ვლადიმერ ანთიამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა კოლმეურნეობის მთავარ აგრონომს. რაულ ხარებავას. ჩვენ ეს ფაქტი ამხანაგურ სასამართლოს გადავეცით განსახილველად. სახალხორაზმელი მარტო ვერ დაამყარებს წესრიგს, თუ ყველა მოქალაქე მას მხარში არ ამოუდგა.

აბაშის მექანიკური ქარხნის მუშა ბ. ქობულია რედაქციას სწერს: ერთხელ კინოფილმი ვესურგბოდი. ძალიან გამიკვირდა ფილმის ყურება და შინაარსის გაგება. ამის მიზეზი ის იყო, რომ კინოდარბაზში ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ხმაურობდა და სტვენდა.

ეს მეტად საწყენი ამბავია. ნუთუ არ შეიძლება ასეთ ახალგაზრდებზე საზოგადოებრივი ზეგავლენა მოგახდინოთ?

ნამდვილად შეიძლება. რაიონის ცენტრსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხშირად უნდა იყოს სახალხორაზმელები. პირადად მე გულგრილად ვერ ჩავუვლი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევას, ყოველ საჭირო ღონისძიებას ვიხმარ, რათა ხულიგნობა ადგილზევე აღმოიფხვრას.

მეტად აღმაფოთებელი ფაქტის შესახებ გვწერს თბილისელი პენსიონერი ტ. აბუსერიძე.

რუსთაველის პროსპექტზე ტროლეიბუსის გაჩერებასთან წითელალაქტიან ქალიშვილს ხულიგნურად ექცეოდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების განყოფილების სტუდენტები ო. ლოლუა, პ. ხიდეშელი და მუშა თ. გასპარიანი, რომლებიც მთვრალები იყვნენ. გაჩერებასთან ხალხი ბლომად იყო. მაგრამ არავის, არ უფიქრია ქალიშვილის ინტერესების დაცვა და ხულიგნების აღკვეთა. ამ დროს მოვიდნენ გარდაბნის მერძეველობა-შებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი თ. მიქაბერიძე და მისი სიძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საამქროს ზეინკალთა ბრიგადირი ნ. ორჯონიკიძე, რომლებმაც ხულიგანს წესრიგისაკენ მოუწოდეს.

ამით ისარგებლა ქალიშვილმა და ტროლეიბუსით გაასწრო. გაბოროტებულმა ხელმოცარულმა ხულიგანმა მუცელში სამჯერ დაარტყა დანა თ. მიქაბერიძეს, ხოლო ნ. ორჯონიკიძეს ფეხში.

რამდენიმე ათეული კაცის თვალწინ ხულიგანმა მოკლა თ. მიქაბერიძე და გაიქცა. ხალხი კი თითქოს სეირს უყურებდა. არავინ აღმოჩნდა იფეთი, რომ მიქაბერიძესა და ორჯონიკიძეს დახმარებოდა ხულიგან ო. ლოლუას წინააღმდეგ ბრძოლაში. იმ ქალიშვილმაც თავს უშველა და შემდეგში აღარ გამოჩენილა.

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია!

გარეწარ ო. ლოლუას აღზრდაში ბრალი მიუძღვით ოჯახს, სკოლას, სადაც იგი სწავლობდა, და პოლიტექნიკურ ინსტიტუტს. თურმე პოლიტექნიკური ინსტიტუტის ინჟინერი ფაკულტეტის საღამოს განყოფილების სტუდენტები ო. ლოლუა, პ. ხიდეშელი და მუშა თ. გასპარიანი, რომლებიც მთვრალები იყვნენ. გაჩერებასთან ხალხი ბლომად იყო. მაგრამ არავის, არ უფიქრია ქალიშვილის ინტერესების დაცვა და ხულიგნების აღკვეთა. ამ დროს მოვიდნენ გარდაბნის მერძეველობა-შებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი თ. მიქაბერიძე და მისი სიძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საამქროს ზეინკალთა ბრიგადირი ნ. ორჯონიკიძე, რომლებმაც ხულიგანს წესრიგისაკენ მოუწოდეს.

ამით ისარგებლა ქალიშვილმა და ტროლეიბუსით გაასწრო. გაბოროტებულმა ხელმოცარულმა ხულიგანმა მუცელში სამჯერ დაარტყა დანა თ. მიქაბერიძეს, ხოლო ნ. ორჯონიკიძეს ფეხში.

რამდენიმე ათეული კაცის თვალწინ ხულიგანმა მოკლა თ. მიქაბერიძე და გაიქცა. ხალხი კი თითქოს სეირს უყურებდა. არავინ აღმოჩნდა იფეთი, რომ მიქაბერიძესა და ორჯონიკიძეს დახმარებოდა ხულიგან ო. ლოლუას წინააღმდეგ ბრძოლაში. იმ ქალიშვილმაც თავს უშველა და შემდეგში აღარ გამოჩენილა.

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია!

## ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲠᲦᲕᲔᲕᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲠᲗᲘ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში მოდიოდა ელჭექის ხასიათის წვიმა, რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში კი მშრალი ამინდი იდგა. მაქსიმალური ტემპერატურა იყო: ბაგრატში, სამტრედიასა და გარდაბანში — 23, გუდაუთაში, ოჩამჩირეში, სოხუმში, ფოთში, ქუთაისში, ცხაკაიაში, ლაგოდეხსა და თბილისში — 22, გალში, ჭობულეთში, ანახეულსა და საგარეჯოში — 21, ჭიათურაში, ცაგერში, გურჯაანში, თელავში, გორსა და მუხრანში — 20, ქუთაისში, დუშეთსა და სიღნაღში—19, თიანეთში, ხაშურში, მანგლისში, ცხინვალსა და ტყიბულში — 18, ბორჯომში — 17, წალკაში — 16, ბაკურიანში — 11 გრადუსი.

დღეს საქართველოში ალაგ-ალაგ მოსალოდნელია წვიმა და ელჭექი, ტემპერატურა — დასავლეთ საქართველოს ბარში — 20-25, მთაში — 15-20, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — 16-21, მთაში — 10-15 გრადუსი. თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობა იქნება, ხოლო დღის მეორე ნახევარში მოვა უმნიშვნელო წვიმა, იქროლებს სუსტი ქარი, თერმომეტრი 19-21 გრადუსს უჩვენებს.



## ᲙᲘᲜᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

### „ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ“ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ,** 10 ოქტომბერი. (საკტესი). ტკრობის ჩემპიონთა თასის გაიმარჯვების საპასუხო შეხვედრაში მონაწილეობისათვის მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდთან დღეს საღამოს დედაქალაქში ჩამოვიდა იტალიის „ინტერნაციონალეს“ კლუბის 16 ვეტერანი. ოთხშაბათს, 12 ოქტომბერს, „ინტერის“ მეჭრთნელს ელეფეი ერერას განზრახული აქვს გამოიყენოს გუნდი ასეთი შემადგენლობით: სარტი, ბურვინიჩი, ფაკეტი, ლანდინი, გუარნერი, პიკი, ალირი, მაცოლა, დომენეგნი, სუარეზი, კორსო. მაცელმა ბედნიმა ფეხი დაიზიანა და ოთხშაბათს, როგორც ჩანს, მინდორზე ვერ გამოვა. დაცვაში, სპეციალისტთა აზრით, იტალიის გუნდის მეჭრთნელს განზრახული აქვს დააყენოს ორი „სტოპერი“ — ლანდინი და გუარნერი, „რადგან მოსკოველები თამაშობენ ორი ცენტრალური თავდამსხმელით“. ვინიჩიოს ნაცვლად, რომელიც მილანოში თამაშობდა, მოედანზე გამოვა უფრო მოძრავი დომენეგნი.

მილანოდან გამოფრენის წინ ერერამ განაცხადა: ძნელი ამოცანა მოგველის — მივიღნარჩენოთ ანგარიში 1:0, — ჩემს მოთამაშეებს შეუძლიათ ამის გაკეთება. „ინტერი“ აირჩევს დაცვითს ვარიანტს, მაგრამ „კონტრიერიშებისათვის მოედნის ცენტრში მუდამ იქნებიან ქაირი, მაცოლა და დომენეგნი.

## ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ

**ᲥᲐᲚᲗᲐ** საჭადრაკო ოლიმპიადის მერვე ტურში ყურადღების ცენტრში რუმინეთის და იუგოსლავიის გუნდების მატჩი იყო. რუმინელებმა მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს და დაამარცხეს იუგოსლავიის ძლიერი კოლექტივი ანგარიშით — 2:0.

საბჭოთა მოჭადრაკეები პოლონელებს ეთამაშებოდნენ. ტ. ზატულოვსკიამ მოიგო პარტია, ვ. კოზლოვსკიამ კი გადადო თავისი შეხვედრა. დანარჩენი შედეგები ასეთია: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა-ამერიკის შეერთებული შტატები — 2:0, ინგლისი-ავსტრია —1,5:0,5, ჩეხოსლოვაკია-დანია — 1:1.

დღეისათვის ლიდერებს — რუმინეთის მოჭადრაკეებს — 14 ქულა აქვთ (თექვსმეტიდან), სსრ კავშირს — 12,5 (თხუთმეტიდან), იუგოსლავიას — 11,5 ქულა (ოცდაერთიდან).

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის პირველ ჯგუფში.

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ** ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ოდესის „ჩერნომორეცი“. მასპინძლებმა ძლიერად ჩაატარეს ორთაბრძოლა და გაიმარჯვეს ანგარიშით — 2:0. ბურთები გაიტანეს ჩისლენკომ და მასლოვმა.

## ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

**ᲓᲐᲛᲗᲐᲛᲐᲠᲓᲐ** თბილისელ ოსტატების კანდიდატთა ტურნირი, რომელიც ამერკაკაკასიის ჩემპიონატის შეაარჩევ მეჯიბრეობის წარმოადგენდა.

11 შესაძლებლიდან 8,5 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს გ. მაჭავარიანმა და ს. ჩეჩელიანმა. რადგან მხოლოდ ერთ გამარჯვებულს ენიჭება ამერკაკაკასიის ჩემპიონატში თამაშის უფლება გ. მაჭავარიანსა და ს. ჩეჩელიანს შორის დამატებითი მატჩი გაიმართება.

მესამე-მეხუთე ადგილები 6-6 ქულით გაიყვეს ე. უბილავამ, გ. ცისკელაშვილმა და ე. მიქაელიანმა.

## ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲞᲐᲠᲙᲘ

**ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘᲡ** რაიონის სოფელ კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოში“ მძლავრი ავტოპარკია, რომლის ბალანსში ირიცხება 20 საბარგო და სამი მსუბუქი ავტომანქანა, 15-ზე მეტი ტრაქტორი, დიდძალი მისაბმელი მანქანა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. ავტოპარკში არის აგრეთვე ოთხი ჩალის საკრეფი მანქანა „საქართველო“.

ავტოპარკს ემსახურებიან მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი, მექანიკოსი, გარაჟის გამგე, დისპეტჩერი და ზეინკლები.

მ. ᲗᲝᲛᲐᲨᲕ.

## Ა. Თ. ᲪᲝᲛᲐᲘᲐ

ᲮᲐᲜᲛᲝᲛᲪᲚᲔ ღა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის ფოთის მექანიზაციის № 1 სამმართველოს უფროსი ანდრო თომას-ძე ცომაია.

ამხ. ა. ცომაია დაიბადა 1909 წელს აბაშის რაიონის სოფელ პატარა კვათისში ღვლესის ოჯახში. უმაღლესი განათლება მიიღო თბილისში ამიერკავკასიის კირთვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1934 წელს ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით. 1934 წლიდან იგი მუშაობს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში.

1941-1945 წლებში მონაწილეობას იღებდა დიდ სამამულო ომში. 1947 წელს, საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სადაც 1953 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1953-1959 წლებში ამხ. ა. ცომაია ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა. 1959 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი მუშაობდა ჯერ კოლხიდის სამანქანო-საექსკავატორო საადგურის დირექტორად, შემდეგ კი ფოთის მექანიზაციის № 1 სამმართველოს უფროსად.

ა. ცომაია 1939 წლიდან სკკპ წევრია. 1954-1958 წლებში იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხოლო 1953 წლიდან გარდაცვალებამდე ქ. ფოთის საქალაქო საბჭოს დეპუტატი. იგი იყო საქმისადმი ერთგული და კარგი ორგანიზატორი. მან დიდი წვლილი შეიტანა კოლეგიუმის ჭაობების დაშრობის მექანიზაციის, ახალი ტექნიკის ათვისებისა და დანერგვის საქმეში.

გულისხმიერი მეგობრის ა. ცომაიას ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგებისა და ნაცნობების გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

## ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში მოდიოდა ელჭექის ხასიათის წვიმა, რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში კი მშრალი ამინდი იდგა. მაქსიმალური ტემპერატურა იყო: ბაგრატში, სამტრედიასა და გარდაბანში — 23, გუდაუთაში, ოჩამჩირეში, სოხუმში, ფოთში, ქუთაისში, ცხაკაიაში, ლაგოდეხსა და თბილისში — 22, გალში, ჭობულეთში, ანახეულსა და საგარეჯოში — 21, ჭიათურაში, ცაგერში, გურჯაანში, თელავში, გორსა და მუხრანში — 20, ქუთაისში, დუშეთსა და სიღნაღში—19, თიანეთში, ხაშურში, მანგლისში, ცხინვალსა და ტყიბულში — 18, ბორჯომში — 17, წალკაში — 16, ბაკურიანში — 11 გრადუსი.

დღეს საქართველოში ალაგ-ალაგ მოსალოდნელია წვიმა და ელჭექი, ტემპერატურა — დასავლეთ საქართველოს ბარში — 20-25, მთაში — 15-20, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — 16-21, მთაში — 10-15 გრადუსი. თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობა იქნება, ხოლო დღის მეორე ნახევარში მოვა უმნიშვნელო წვიმა, იქროლებს სუსტი ქარი, თერმომეტრი 19-21 გრადუსს უჩვენებს.

## ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

**ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲐᲜᲐᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲐᲗᲐ 48-Ე ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲐ Ქ. ᲐᲑᲐᲨᲐᲨᲘ 1966 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ.**

**მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში მოთავსებ